ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.06.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 008/13

შეკითხვა:

ადვოკატი A ავრცელებს არასწორ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მან ადვოკატ B - ს გადასცა გარკვეული თანხა. ადვოკატმა A - მ აღმასრულებელთან წარადგინა ყალბი ხელწერილი ადვოკატ B - ს გაყალბებული ხელმოწერით, თითქოს მან მართლაც აიღო თანხა. ადვოკატ B - ს სურს საჩივრით მიმართოს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას კოლეგის აღნიშნული ქმედების თაობაზე. ექნება თუ არა პერსპექტივა საჩივარს?

ანალიზი:

"ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი: "ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით."

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი: „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.“

ადვოკატი საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით. ადვოკატმა ყველა შესაძლო ხერხი უნდა გამოიყენოს კლიენტის ინტერესების დასაცავად, კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს მისი ვალდებულებები და დააყენოს კლიენტის ინტერესები ნებისმიერ სხვა ინტერესზე მაღლა, თუმცა, ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ უნდა დაისახოს უკანონო გზით კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №057/10 მიუთითა, რომ „ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რომ მისი პროფესიისადმი ნდობას საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებაში.“

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება შეკითხვაში მოცემული გარემოებები - ხელმოწერის გაყალბება და ყალბი ხელწერილის საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვა, შესაძლოა ადვოკატის ქმედებაში იკვეთებოდეს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნები. თუ ასეთი ქმედების დროს შეკითხვაში აღნიშნული პირი მოქმედებდა, როგორც ადვოკატი, მისი მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კანონიერების პრინციპის დარღვევას.

თუ ადვოკატი ფიქრობს, რომ კოლეგის ქმედებით ირღვევა მისი უფლებები, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას. დისციპლინური წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველი „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-6 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით არის ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდენის შესაძლო ჩადენის თაობაზე. ეთიკის კომისიის პრაქტიკაში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის ფაქტზე ადვოკატმა საჩივრით მომართა კომისიას სხვა ადვოკატის წინააღმდეგ.

ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. ეთიკის კომისიის რეკომენდაცია არ არის სავალდებულო სახის, შესაბამისად, რეკომენდაციათა პროექტის იურისტი სავალდებულოდ ვერ განსაზღვრავს საჩივრის შემოტანის შემთხვევაში სამართალწარმოების შესაძლო შედეგს. კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. საჩივრის შემოტანის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

დასკვნა:

თუ დადასტურდება ადვოკატის მიერ ხელმოწერის გაყალბება და ყალბი ხელწერილის საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვა, შესაძლოა მის ქმედებაში იკვეთებოდეს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნები. თუ ასეთი ქმედების დროს შეკითხვაში აღნიშნული პირი მოქმედებდა, როგორც ადვოკატი, მისი მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონიერების პრინციპის დარღვევას. ადვოკატს შეუძლია მომართოს საჩივრით ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მისი კოლეგის მხრიდან უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში. დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად შესაძლოა დადგეს საჩივრის ავტორისათვის სასურველი შედეგი, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას.